

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №23

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

10 აგვისტო 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ჩიკვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭიჭიშვილი**.

სხდომა 10⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2018 წლის 10 აგვისტოს საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

5.,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვებლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხს:/მამუკა ნამიჭიჭიშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2018 წლის 10 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვულობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.(დანართი N2)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიღებული ინფორმაციის თანახმად საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებობს რეზერვის სახით გარკვეული თანხები, რომელიც შეიძლება მიმართული იქნას მუნიციპალიტეტებში სახვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ჩვენს მიერ შერჩეული იქნა აღნიშნული პროექტი, რომელიც მოწონებულია და გავლილი აქვს ექსპერტიზა. ეს პროექტია: „ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, ალფაიდების უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე